იოსებ მეტრეველი
ნებართვების და მარეგულირებელ ორგანოებთან
ურთიერთობის მენეჯერი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
მილსადენის კომპანია (საქართველო)
იალბუზის ქუჩა № 14
თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის N: **BTC/OUT/5176/23**

30 მარტი, 2023 წ.

ბ-ნ კ. ცერცვაძეს
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსს

საგანი: **მოთხოვნა მოსაჭრელი არაწითელი ნუსხის ხე-მცენარეთა მერქნული რესურსის გადაცემასთან დაკავშირებით (BTC პროექტი), ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისჯვარი**

ბატონო კახა,

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს (ს/ნ 204992785) 2023 წლის 1 მარტის წერილის (BTC/OUT/5159/23) შესაბამისად (იხ. დანართი), მოგმართავთ თხოვნით სააგენტომ კომპანიას აცნობოს მერქნული რესურსის დასაწყობების ადგილი, აგრეთვე გასცეს ხე-მცენარეების წარმოშობის დოკუმენტი, მოახდინოს დაფირნიშების მომსახურება და ჩვენს კომპანიასთან გააფორმოს მერქნული რესურსის გადაცემის შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

ამასთან, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ხე-მცენარეთა მოჭრასთან დაკავშირებული შეიპ-ფაილები (1-CD) და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია ეროვნულ სატყეო სააგენტოს გადაეცა წონამდებარე განცხადებაში მოხსენიებული ჩვენი კომპანიის მიერ 2023 წლის 1-მარტს გაგზავნილი წერილით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, აგრეთვე, გთხოვთ გვაცნობოთ არაწითელი ნუსხის ხე-მცენარეების მოჭრისთვის საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის შესახებ 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე წესის მე-6 დანართის (ცხრილი N1) შესაბამისად გამოთვლილი გადასახდელი საკომპენსაციო საფასურის ოდენობა.

იმედს გამოვთქვამთ აღნიშნულზე სწრაფი რეაგირების, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, და მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ი. მეტრეველი

დანართი:

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს (ს/ნ 204992785) 2023 წლის 1 მარტის წერილის (BTC/OUT/5159/23) ასლი.

იოსებ მეტრეველი
ნებართვების და მარეგულირებელ ორგანოებთან
ურთიერთობის მენეჯერი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის
მილსადენის კომპანია (საქართველო)
იალბუზის ქუჩა № 14
თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის N: **BTC/OUT/5159/23**

1 მარტი, 2023 წ.

ბ-ნ გ. დუგლაძეს
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს

ასლი: ბ-ნ კ. ცერცვაძეს
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსს (დანართებით)

საგანი: **შეტყობინება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ს/კ N64.29.03.745 მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი არაწითელი ნუსხის ხე-მცენარეების მოჭრის შესახებ, BTC პროექტი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი**

ბატონო გიორგი,

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) პროექტის ფარგლებში, მდ. ოშორას მარჯვენა ფერდთან დაგეგმილია მოეწყოს რკინა-ბეტონის ნაპირსამაგრი კედელი BTC-ის ობიექტებამდე მისასვლელი საავტომობილო გზის მიმდებარედ, რამაც უნდა უზრუნველყოს ობიექტებამდე უსაფრთხო სატრანსპორტო მოძრაობა და მილსადენის შეუფერხებელი ოპერირება.

ზემოთ აღნიშნული პროექტის განხოციელების მიზნებისათვის და მის ფარგლებში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს (ს/კ 204992785) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24. დეკემბრის N365 დადგენილების მე- 6 მუხლის პ.ბ, გ; პ.3^1;3^2;3^3 თანახმად, განსაზღვრული აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ს/კ N64.29.03.745 არასატყეო ფონდის მიწის ნაკვეთზე არაწითელი ნუსხის 13 (ცამეტი) ხე-მცენარეთა მოჭრის აუცილებლობა.

მოხსენიებული მიწის ნაკვეთი ხვდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილებით განსაზღვრულ მილსადენის უსაფრთხოების მე-3 ზონაში.

შესაბამისად, წარმოგიდგენთ კონტრაქტორი კომპანია „ძელქვა“-ს მიერ მომზადებულ მოსაჭრელი ხე-მცენარეების X და Y კოორდინატების Shp-ფაილების ელექტრონულ ვერსიებს და მოსაჭრელ ხე-მცენარეთა შესახებ ტექნიკურ ინფორმაციას (იხ. დანართი).

ხე-მცენარეების მერქანი, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაეცემა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს.

კომპანიის საკონტაქტო პირი: ბ-ნი დავით სახოკია, მობ: 599 18 95 35.

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ი. მეტრეველი

დანართი:

1. Shp-ფაილები (1-დისკი);
2. ტექნიკური მონაცემები არაწითელი ნუსხის ჯამში 13 ხე-მცენარის შესახებ (Excel);
3. მოსაჭრელი ხე-მცენარეთა შესახებ შეჯამებული ინფორმაცია;
4. ხე-მცენარეთა 13 სურათი.